ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 45

28 დეკემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, ბ. ფირცხელიანი, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, მ. დარჩია.

მოწვეული სტუმრები:
1. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. ცირა შალოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
3. ნინო მაჭარაშვილი - ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დირექტორი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: ქალბატონი მაკა ნასრაშვილი
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

   თანამომხსენებელი: ქალბატონი ნინო მაჭარაშვილი
   თანამდებობა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და განმარტა, რომ სხდომაზე თბილისის, როგორც წიგნის მსოფლიო დედაქალაქის პროექტთან დაკავშირებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ დაფუძნების თაობაზე იქნებოდა მსჯელობა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს, ქალბატონ მაკა ნასრაშვილს გადასცა სიტყვა განსახილველი საკითხის დეტალურად წარმოდგენის მიზნით.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის განმარტებით, 2019 წელს ქალაქ თბილისის მერიამ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ“ განაცხადი შეიტანა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის პროექტში „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მონაწილეობის მიზნით, რომელიც 2002 წლიდან ტარდება და ქალაქებს აღნიშნული სტატუსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ კონკურსში პირველად მიიღო მონაწილეობა და წარდგენილი პროექტის მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობის გამო პირველივე ცდაზე გაიმარჯვა. ქალაქ თბილისს ჰყავდა 22 კონკურენტი და ფინალში საფრანგეთისა და ინგლისის ქალაქებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის თქმით, თბილისს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი 2021 წლის 23 აპრილიდან გადმოეცემა ქალაქ კუალა ლუმპურიდან, რომელიც ამჟამად ფლობს მას და ერთი წლის განმავლობაში ექნება. „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ გულისხმობს საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მწერლობის, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, საერთაშორისო პროექტების მიმოცვლას. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთარ პროექტში დიდ ადგილს უთმობს ინფრასტრუქტურულ ნაწილს, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკების განახლებას, რეაბილიტაციას, რემონტს; ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებას, საერთაშორისო ავტორების გაცვლით ღონისძიებებს, მწერლების ქალაქ თბილისში მოწვევას და სხვა ბევრ საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ პროგრამას.

ქალბატონი მაკა ნასრაშვილის ინფორმაციით, მემორანდუმი 2019 წლის 7 ოქტომბერს გაფორმდა თბილისის მერიასა და გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციას შორის. თბილისის მერიას ამ პროექტის განხორციელება 2020 წლის იანვრიდან უნდა დაეწყო, რადგან პროექტს ყოველთვის ახლავს წინა მოსამზადებელი ერთწლიანი პერიოდი, მაგრამ ქვეყანაში პანდემიით შექმნილი სიტუაციის, გამო თბილისის მერიას არ მიეცა შესაძლებლობა წინამოსამზადებელი სამუშაოებისთვის. ამისდა მიუხედავად, თბილისის მერიამ განახორციელა ერთი პროექტი - წიგნების ვაუჩერიზაცია, რომელიც სკოლების ლიტერატურით მომარაგებას გულისხმობს. პროექტი სამოცდაათამდე სკოლაში განხორციელდა, წელს დასრულდა და მომავალ წელსაც გაგრძელდება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება, რომ ჩამოეყალიბებინა შესაბამისი იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის პროექტზე „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, რომელიც ძალიან მაღალი დონის პროექტია და სჭირდება მაღალკვალიფიციური გუნდის მიერ განხორციელება. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს სურს 2021 წლის იანვრიდან ამოქმედდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე. ამ იურიდიული პირის

წესდებაში მითითებულია, რომ იგი ფუძნდება მხოლოდ პროექტის მოქმედების ვადით, რომლის შემდეგაც მოხდება მისი ლიკვიდირება.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ დირექტორმა, ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა სხდომის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმდინარეობს ორი ბიბლიოთეკის რემონტი, სამუშაოები თითქმის დასრულებულია და 2021 წლის თებერვლის დასაწყისისთვის ვაკისა და ლილოს ფილიალები ოფიციალურად გაიხსნება, აგრეთვე, გაიხსნება ვაკის მედიათეკა, რომელიც ღამის 12 საათამდე იფუნქციონირებს და ამ მხრივ, საქართველოში ერთადერთი მედიათეკა იქნება. ქალბატონი ნინო მაჭარაშვილის თქმით, აპლიკაციაში წარდგენილი თითოეული ღონისძიება განხილული, შეთანხმებული და გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის მიერ არის ხელმოწერილი. შესაბამისად, გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციამ თბილისს დაუდგინა მოქმედების გეგმა. მოსამზადებელი ეტაპი უნდა ყოფილიყო ერთწლიანი, თუმცა პანდემიის გამო გაერომ დათმო რიგი პროცედურების სავალდებულოდ შესრულება. მისივე თქმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ შემადგენლობაში იმუშავებს 9 პირი, რომლებიც გასული წლის იანვრიდან დღემდე, თითქმის უხელფასოდ მუშაობდა, რომ პროექტი არ შეწყვეტილიყო.

კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა აღნიშნული პირების ვინაობით, რაზეც ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა განუმარტა, რომ მათ შორის არიან ნინო კიკნაძე - საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი, ია ვეკუა - კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი და სხვა, ადამიანები, ვინც ფრანქფურტის წიგნის ფესტივალზე მუშაობდნენ და აქვთ დიდი გამოცდილება მსგავსი პროექტების ორგანიზების. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, აღნიშნულ ჯგუფში შედის, თუ არა სამწერლო და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები. პასუხად ქალბატონმა მარიკა დარჩიამ განმარტა, რომ პროექტის საორგანიზაციო ჯგუფში ამ სფეროს წარმომადგენლები არ შედიან.

ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის მედიათეკაში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამწერლო და საგამომცემლო დარგის წარმომადგენლები, მათ შორის, ყველა გამომცემლობა, ლიტერატურის მუზეუმის, მუზეუმების გაერთიანების, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, მწერალთა სახლის წარმომადგენლები, რომლებმაც საინტერესო წინადადებები და იდეები მიაწოდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებას“. ეს რეკომენდაციები შეთანხმდა ქალაქ თბილისის მერიასთან, საკითხი განიხილა ქალაქ თბილისის მერმა, ბატონმა კახა კალაძემ, მისმა მოადგილემ, ბატონმა ანდრია ბასილაიამ, თბილისის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა, ქალბატონებმა, მაკა ნასრაშვილმა და ცირა შალოშვილმა. შეჯერებული პოზიცია გაიწერა და პროექტის სახით გადაეგზავნა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციას, რომელიც შემდეგ ჩასწორდა და კვლავ წარედგინა ამ ორგანიზაციას. ქალბატონი ნინოს თქმით, პროექტის ორგანიზატორები მაქსიმალურად ეცდებიან, რომ მისი

მიმდინარეობისას, თანაბრად გაითვალისწინონ შესაბამისი დარგის წარმომადგენელთა ინტერესები.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა თხოვნით მიმართა ქალბატონ ნინო მაჭარაშვილს, რომ პროექტის ორგანიზებაში ჩართოს მწერალთა კავშირიც, რომელიც 600 წევრისაგან შედგება და დაეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებას.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა აღნიშნა, რომ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ბიუჯეტი 2 700 000 ლარი. ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა განმარტა, რომ პროექტისთვის თავდაპირველად 7 მილიონი ლარის გამოყოფას ითხოვდნენ, თუმცა პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ მოხდა აღნიშნული თანხის მოძიება. კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ მიმართა თბილისის მერიის წარმომადგენლებს და მოუწოდა, რომ გამოყოფილი 2 700 000 ლარი პროექტზე გახარჯონ 2021 წელსვე, ხოლო შემდეგ, 2022 წლისთვის, თბილისის მერიამ და საკრებულომ ერთად იმსჯელოს დამატებითი თანხის გამოყოფაზე, მნიშვნელოვანი პროექტის სათანადოდ ორგანიზებისთვის.

ქალბატონმა მარიკა დარჩია დაინტერესდა, შემოდის თუ არა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია საკუთარი ფინანსებით პროექტის განხორციელებისთვის, რაზეც ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა განმარტა, რომ UNESCO სრულ პასუხისმგებლობას იღებს სხვადასხვა ქალაქებთან კომუნიკაციის ორგანიზებაზე, პროექტის ვიზუალურ გაფორმებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე.

ბატონი ვლადიმერ ძნელაძე დაინტერესდა თუ რა ფორმით მონაწილეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მსვლელობაში, რაზეც ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ სამინისტრო არ იღებს მონაწილეობას პროექტის განხორციელებაში.

ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ" მოიძია პროექტისათვის სპონსორები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევენ მას. მანვე განმარტა, რომ UNESCO-ს ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი ყველაზე წარმატებით აქამდე ქალაქმა ამსტერდამმა განახორციელა. რაც შეეხება პროექტის გახსნით ცერემონიალს, მას დაესწრებიან UNESCO-ს დირექტორი, გამომცემელთა და ბიბლიოთეკათა საერთაშორისო ასოციაციის დირექტორიატი და სხვა ბევრი საპატიო სტუმარი, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქალაქ თბილისის პოპულარიზაციისთვის. პროექტის განხორციელებას შედეგად მოჰყვება წიგნიერების ხელშეწყობა და ტურისტების ნაკადის ზრდა დედაქალაქში.

ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა პროექტის ფარგლებში თანამედროვე ავტორების ხელშეწყობა გულისხმობს, თუ არა მათი წიგნების გამოცემის დაფინანსებას. პასუხად ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა განმარტა, რომ პროექტი მოიცავს სარეზიდენტო პროგრამების თანადაფინანსებას, თუმცა სრულად არ აფინანსებს სარეზიდენტო პროგრამით უცხოეთში მიმავალ ავტორებს; წიგნების გამოცემის დაფინანსების პროგრამა კი აქვს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიას, შესაბამისად, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფარგლებში აღარ მოხდება მსგავსი დაფინანსება.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა ითხოვა დაზუსტება, თუ რა პროცედურის შესაბამისად ხორციელდება ავტორის წიგნის გამოცემის დაფინანსება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ. პასუხად ქალბატონმა მარიკა დარჩიამ განმარტა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილების საფუძველზე, თბილისის მერია ნაწილობრივ აფინანსებს იმ წიგნებს, რომლებიც თემატურად უკავშირდება დედაქალაქს.

ქალბატონმა მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ როდესაც ქალაქ თბილისის მერია უშუალოდ ტენდერის მეშვეობით ბეჭდავს წიგნს, იგი სახელმწიფო ქონება ხდება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეალიზებას არ ექვემდებარება, რაც ავტორებისთვის არახელსაყრელია. შესაბამისად, უფრო მიზანშეწონილია, თბილისის მერიამ დააფინანსოს წიგნის შექმნა და დასაბეჭდად გამზადება, უშუალოდ ბეჭდვა კი - გამომცემლობამ.

ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ საგამომცემლო სფეროს წარმომადგენლებისთვის დაგეგმილია ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენციის გამართვა წლის ბოლოს, რომელსაც ევროპის მრავალი ქალაქიდან დაესწრებიან სტუმრები. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტორთა მგზავრობის საფასურს თბილისის მუნიციპალიტეტი არ დაფარავს და თბილისი მხოლოდ ადგილზე უმასპინძლებს მათ. შესაბამისად, პროექტის თანხები მიზანშეწონილად იყოფა მხარეებს შორის. ქალბატონი ნინოს ინფორმაციით, იგი 2018 წელს ქალაქ კრაკოვში დაესწრო საბიბლიოთეკო კონფერენციას, რომელზეც მთელი ევროპიდან ესწრებოდნენ გამომცემლობების წარმომადგენლები და ძალიან სურდა თბილისსაც ემასპინძლა მსგავსი კონფერენციისთვის. მისივე ცნობით, კონფერენციის ორგანიზებაში თბილისს დახმარებას გაუწევს საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) მმართველი საბჭო; ჩატარდება თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, რომელში მონაწილეობისთვისაც მოლაპარაკება მიმდინარეობს ცნობილ ავტორებთან, მათ შორის ჯოან როულინგთან, ნილ გეიმანთან და ბუნებრივია, ქართველ ავტორებთან.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა ხაზი გაუსვა აღნიშნულ ღონისძიებაში ქართველი ავტორების მონაწილეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ავტორია, რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროექტში. წიგნის ბაზრობის მსვლელობისას, ქართველ ავტორებს საკუთარი ნაწარმოებების გაყიდვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მანვე მხარდაჭერა გამოუცხადა პროექტს და დახმარება შესთავაზა თბილისის მერიის წარმომადგენლებს მის განხორციელებაში.

ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში ქართველი ავტორები პირადად შეხვდებიან სკოლის მოსწავლეებს და გამართავენ ღონისძიებებს. ასევე, აღდგება

პირველი საბავშვო ბიბლიოთეკა თბილისში, დაწესდება საბავშვო ლიტერატურული პრემია. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე უცხოელი ავტორები და გამომცემლები ეწვევიან თბილისს, გაიმართება პირველი წიგნის საბავშვო ფესტივალი. მისივე თქმით, 2013 წლის შემდეგ საქართველოში არ ჩატარებულა საგამომცემლო საქმიანობის კვლევა და გამომცემლობების თხოვნის საფუძველზე, 2021 წელს ჩატარდება აღნიშნული კვლევა. მოეწყობა ღია ცის ქვეშ ბიბლიოთეკა, შეიქმნება ბრაილის შრიფტის მქონე და აუდიო წიგნები შშმ პირებისთვის. ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში მოეწყობა 100 ექსკურსია, რომელსაც დაესწრებიან მასწავლებლები და მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. აღნიშნული ექსკურსიის ორგანიზებაში ფინანსურად არის ჩართული საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ასევე, მოეწყობა ლიტერატურული შეხვედრები არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან. მსგავს პროექტი უკვე განხორციელდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით. აგრეთვე, გაკეთდება ქართული ზღაპრებისა და ილუსტრაციების სკოლა. საბავშვო ბიბლიოთეკის მოწყობაში თბილისს აქტიურად ეხმარებიან დამეგობრებული ქალაქები. პროექტს ექნება მასშტაბური გახსნისა და დახურვის ცერემონიები, ამასთან, ყველა იმ ფესტივალზე, სადაც საქართველოს საკუთარი კუთხე აქვს (ლაიფციგის, ბოლონიის, ფრანკფურტის, ბრისტოლისა და ლონდონის წიგნის ფესტივალები) პოპულარიზაცია გაეწევა საქართველოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გამომცემლობები და ქართველი ავტორებიც.

ქალბატონი ნინოს თქმით, 2021 წელს არის გალაკტონ ტაბიძის 130 წლის იუბილე, რასაც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება“ ლიტერატურის მუზეუმთან ერთად აღნიშნავს. აღდგება ილია ჭავჭავაძის პირველი სანოტო სტამბა, მუსიკალური გაფორმების თანხლებით გაიმართება თავისუფალი ლიტერატურული ბაზრობა. ყოველ თვე, თბილისში მუსიკოსებისა და ცნობილი ავტორების ერთობლივი საღამოები მოეწყობა. იგეგმება ელენე დარიანი-ბაქრაძის ორტომეული წიგნის გამოცემა და წიგნის „33 ამბავი ქართული წიგნის შესახებ“ განახლება ლიტერატურულ მუზეუმთან ერთად. ქალბატონმა ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ოფიციალური წარდგენა იგეგმება 2021 წლის თებერვალში.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ მართლაც ძალიან რთულია ამგვარი მასშტაბის ღონისძიების გამართვა, მითუმეტეს, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით. მან მადლობა გადაუხადა თბილისის მერიისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების“ წარმომადგენლებს საკითხის წარმოდგენისთვის და წარმატებები უსურვა.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა განმარტა, რომ ქართული დამწერლობის პოპულარიზაციის ნაწილში, მიზანშეწონილია პროექტის ორგანიზებაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩართვაც.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თინათინ ნიბლოშვილმა, მაკა ნასრაშვილმა, ნინო მაჭარაშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, მარიკა დარჩიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი -წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის შესახებ.

მომხრე ----------	6
წინააღმდეგი ----------	1
თავი შეიკავა ----------	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა: კომისია დადებითად აფასებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი -წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და მხარს უჭერს მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი